სააგენტოს შენიშვნები 17/02/2023 წლის N 21/1043 წერილი	**პროექტის ავტორის პასუხი**
სკრინინგის ანგარიშში გადასამოწმებელია წარმოდგენილი წყლის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობები, რადგან შესაბამის ფორმულაში მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მიიღება ხარჯის განსხვავებული სიდიდეები;	'შენიშვნა მისაღებია ხარჯი სწორადაა ნაანგარიშები, #1 ცხრილში გადმოტანილი δ-ს მნიშვნელობა 1,14-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 1,014 რაც ფიქსირდება მაქსიმალური წყლის ხარჯის განსაზღვრის რიცხვითი მნიშვნელობების ცხრილში
ჰიდრავლიკური ანგარიშის ყველა სიდიდე წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული რიცხვითი მნიშვნელობით;	შენიშვნა არ არის მისაღები რადგან ჰიდროლოგიურ ანგარიშში წარმოდგენილია დეტალურად ფორმულებით და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით თუ როგორ არის შესაბამისი ხარჯი დადგენილი
სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საკვლევი უბნის დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში დასაბუთებული დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს დატბორვის დონეების განსაზღვრის შესაბამისი ჰიდრავლიკური ანგარიში;	სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ჰიდროლოგიური ანგარიში, შენიშვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ დატბორვის დონეების განსაზღვრის შესაბამის ჰიდრავლიკური ანგარიშს ქვაყრილის დასაწყისში შუაში და ბოლო კვეთში
ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ნორმებს;	ქვანაყარი ბერმის მსგავსი ფრაქციული შემადგენლობა უკვე წარმატებით მუშაობს აღნიშნული მდინარის ჭალა კალაპოტში. შესაბამისად შერჩეულია მსგავსი ტიპის კონსტრუქცია
დამცავი ნაგებობის ყველა კვეთში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვანაყარი ბერმის საპროექტო მოცულობა;	დამცავი ნაგებობის ყველა კვეთში ჭალა კალაპოტის არაერთგვაროვანი რელიეფის გამო შეუძლებელია ყველა კვეთში ერთნაირი მოცულობის მიღება, შესაბამისად ყველაზე მცირე კვეთშიც უზრუნველყოფილია ქვანაყარი ბერმის საპროექტო მოცულობა
სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;	შენიშვნა გათვალისწინებულია გთხოვთ იხ სკრინინგის განცხადების თვი 4 „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა“
ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ პოზიციას.	საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების სიახლოვეს ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ნაპირსამაგრი სამუშაოების საქმიანობის შეთანხმება მოხდა საქართველოს კუ ლტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან. გთხოვთ იხ, სკრინინგის განცხადების თვი 4 „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა“